პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 123 (19265) ოთხშაბათი, 29 მაისი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

დრო შეჯამებისა და მზადებისა

რესპუბლიკის მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემის ყველა ფორმის მსმენელთათვის დადგა მნიშვნელოვანი ეტაპი — მიმდინარეობს შემაჯამებელი მეცადინეობები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი განსაკუთრებული და გამორჩეულია მთელი ხუთწლედის მანძილზე უკვე ჩატარებული ასეთი მნიშვნელოვანი კამპანიისაგან.

სასწავლო წლის შეჯამება განსაკუთრებულია არა მხოლოდ იმიტომ, რომ აჯამებს ხუთწლედის დამამთავრებელი სასწავლო წლის შედეგებს, წლისა, როდესაც საბჭოთა ხალხმა, მთელი მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებრიობამ იზეიმა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავი, არამედ იმითაც, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის რიგგარეშე და აპრილის პლენუმებმა ჩვენი თვალუწვდენი, დიადი სამშობლოს მშრომელებს დაუსახეს ახალი სერიოზული, გაბედული გეგმები და ამოცანები, რომლებიც თითოეული ჩვენთაგანის ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის მთავარი სამოქმედო ორიენტირია.

და, რაც მთავარია, ამჟამინდელი შემაჯამებელი მეცადინეობები ერთგვარი დათვალიერებაც არის იმისა, თუ როგორ ვიზარდეთ წლეულს, საერთოდ, ყრილობიდან ყრილობამდე, რა გავაკეთეთ, როგორი მიღწევებით ვეგებებით პარტიის მორიგ, XXVII ყრილობას, რომლის მოწვევის შესახებ უკვე მიიღო დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელმა აპრილის პლენუმმა.

მიღწევები კი მართლაც ბევრი გვაქვს. საბჭოთა ადამიანებმა ხუთწლედის განვლილ პერიოდში დიდი წარმატებები მოიპოვეს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა დარგში, სფეროში, უბანზე. ამაში დიდია სკკპ ერთ-ერთი ნაცადი რაზმის — საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თითოეული წევრის, საბჭოთა საქართველოს ყოველი მშრომელის წვლილი, რომელთა მონდომებული, ინიციატივიანი გარჯა წლეულს მეთორმეტედ აღინიშნა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშით...

ყოველივე ეს, ცხადია, კარგი ფაქტობრივი მასალაა პროპაგანდისტებისათვის, რომლებმაც უნარიანად უნდა გამოიყენონ ისინი, მართალი პარტიული სიტყვით გაიკაფონ გზა მსმენელთა გონებისა და გულისაკენ, დამაჯერებლად უჩვენონ მათ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესის არსებითი უპირატესობანი, მაგრამ როგორც პარტია გვასწავლის, იდეოლოგიური მუშაობა მაშინ არის ეფექტიანი და წინასწარდასახულობათა განხორციელებაც იოლდება, როდესაც ხალხს, მშრომელებს სისტემატურად ვაყენებთ საქმის კურსში, გულახდილად ვეთათბირებით მათ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, პრობლემებზე, მათთან ერთად, მათი აზრის გათვალისწინებით ვსახავთ მდგომარეობის ოპერატიული გამოსწორების, გამართული მუშაობის, ახალ წარმატებათა მოპოვების გზებს.

„იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, — ყველა თავისი ფორმით მაქსიმალურად უნდა იყოს დაკავშირებული დღევანდელობის მთავარ ამოცანასთან — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებასთან". სწორედ ეს უნდა გაითვალისწინონ მეცადინეობებისას ჩვენმა პროპაგანდისტებმა, რომლებმაც უკვე მიღწეულიც და გასაკეთებელ-მოსაგვარებელიც უნდა განიხილონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელი მარტისა და აპრილის პლენუმების მოთხოვნებთან მჭიდრო ურთიერთკავშირით და ამგვარადვე დასახონ იმ ნაკლოვანებათა, წინსვლის ხელშემშლელ მიზეზთა დაძლევის გზები, რომელთა შესახებაც ჭეშმარიტად ლენინური პრინციპულობით, პირუთვნელობითა და ობიექტურობით ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე.

ჩვენი რესპუბლიკის 39.268-კაციან პროპაგანდისტთა მძლავრ რაზმს, შესწევს მუშაობის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვის უნარი. ამ ბოლო ხანს რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება პროპაგანდისტთა კადრების უკეთ შერჩევის, ცოდნის დონის ამაღლებისათვის, მათი სწავლების მოძველებული, ნაკლებეფექტიანი მეთოდიკის ახლით შეცვლისათვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა პროპაგანდისტთა სემინარების ჩატარებისას მთავარი აქცენტი მათთვის აუცილებელი კონკრეტული პროპაგანდისტული ჩვევებისა და ცოდნის ჩამომყალიბებელი პრაქტიკული მეცადინეობების წილის ზრდაზე გადაიტანეს. ეს კი პროპაგანდისტებს საშუალებას აძლევს ისწავლონ და შემდეგ მეცადინეობისას, უკეთ გაითვალისწინონ კონკრეტული სამოქმედო ამოცანა, მეცადინეობის თემა, აუდიტორიის განსაკუთრებულობა.

შედეგიც კარგია. საგრძნობლად ამაღლდა როგორც თვით სწავლების დონე, ისე მსმენელთა შემოქმედებითი აქტიურობაც. მეცადინეობისა და შრომის პროცესში ისინი მრავალ სასიკეთო სიახლეს იწყებენ. ამ მხრივ აღსანიშნავია თუნდაც ტყიბულის ს. ორჯონიკიძის სახელობის შახტის მშრომელთა მიერ ახლახან გამოჩენილი ინიციატივა დევიზით „მთელი საწარმოო პოტენციალი — ლენინური პარტიის XXVII ყრილობას!". ამ თაოსნობის ავტორია მესამე საექსპლოატაციო უბნის საიჯარო ბრიგადის წევრი, „მატერიალური რესურსების ხარჯვის, მათი გონივრული გამოყენების" სკოლის აქტიური მსმენელი ჟ. მერკვილაძე, რომელმაც მეშახტეებს მოუწოდა საშვიდნოემბროდ შეასრულონ ხუთწლედის დავალებები.

ასეთი მაგალითები, გამონაკლისი არ არის. მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში დღეისათვის გაერთიანებულია 52.899 გამომგონებელი, რაციონალიზატორი, მრავალი სასიკეთო სიახლისა და ინიციატივის წამომწყები პროპაგანდისტი და მსმენელი, რომლებიც ნაყოფიერი, შემოქმედებითი შრომის შესანიშნავ მაგალითებს აჩვენებენ თანამოსაქმეებს, პირადი მაგალითით რაზმავენ ადამიანებს, სწორედ საერთო საქმის საბოლოო წარმატებისათვის მათი ასეთი ნაყოფიერი, კეთილსინდისიერი გარჯის შედეგია, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ 1984—1985 სასწავლო წელს მიიღო 85.477 ათასი მანეთის ეკონომიკური ეფექტი.

ეს, ცხადია, კარგია და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ, იქ, სადაც პარტიული კომიტეტები სწორად წარმართავენ ყოველდღიურ ცოცხალ იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას, ქმედითად იბრძვიან ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში ფორმალიზმის, ყალბი დიდაქტიკის აღმოფხვრისათვის, ახერხებენ უბრალო, გასაგები, სიმართლის ენით ესაუბრონ და დაარწმუნონ ადამიანები, წარმატებებიც არის.

ნათქვამია, ათას სიტყვას ერთი კარგი კონკრეტული საქმე სჯობსო. „პროპაგანდაში, — ხაზგასმით ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე, — მთლიანად იდეოლოგიურ მუშაობაშიც — და ეს ნურავის ნუ მოეჩვენება პარადოქსულად — რაც შეიძლება ნაკლები სიტყვები და რაც შეიძლება მეტი საქმე უნდა იყოს".

სწორედ ეს სახელმძღვანელო მითითება უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა პროპაგანდისტებმა მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემის აუდიტორიებში გამართული შემაჯამებელი მეცადინეობისას.

როგორც რესპუბლიკის ყველა რეგიონში, ქალაქებსა და რაიონებში დღემდე უკვე გამართულმა შემაჯამებელმა მეცადინეობებმა გვიჩვენა, საგრძნობლად არის ამაღლებული სკოლებისა და უნივერსიტეტების მსმენელთა პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცოდნის დონე, რასაც ისინი კარგად იყენებენ წარმოების ეფექტიანობის, შრომის ნაყოფიერებისა და ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის მიმდინარე ყოველდღიურ საქმიანობაში, ავლენენ და საქმის სამსახურში აყენებენ ახალ რეზერვებს. მაგრამ არის ნაკლოვანებანიც, ბევრგან სათანადოდ არ იყენებენ სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, სხვადასხვა თვალსაჩინოებებს, არის ფუჭსიტყვაობის, უმისამართო კრიტიკის, საქმის მიფუჩეჩების ფაქტები და სხვ.

სწორედ ამ და სხვა ხელშემშლელ ნაკლოვანებათა ოპერატიულ გამოსწორებას უნდა დაუთმონ პარტიულმა კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება, ახალი სასწავლო წლისათვის პროპაგანდისტთა კადრები დააკომპლექტონ მხოლოდ ისეთი ადამიანებით, რომლებსაც თავიანთი განათლებით, მოქალაქეობრივი და სამსახურებრივი თვისებებით მოპოვებული აქვთ მშობლიურ კოლექტივებში სხვათა სწავლების მორალური უფლება, ხელს უწყობენ ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას...

სულ ცხრა თვეღა დარჩა პარტიის მორიგი, XXVII ყრილობის გახსნამდე, რომლის ღირსეული შეხვედრისათვის, ისევე როგორც მთელს საბჭოეთში, ჩვენს რესპუბლიკაშიც დიდი საერთო-სახალხო ლაშქრობაა გაჩაღებული, სწორედ ეს სულისკვეთება გასდევს წითელ ზოლად მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში ამჟამად მიმდინარე შემაჯამებელ მეცადინეობებსაც. და გვჯერა, რომ იქ გამართული საქმიანი სჯა-ბაასი, სამომავლო ამოცანები, რომლებსაც მისი მონაწილენი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ახალი სასწავლო წლისათვის დაისახავენ, საგრძნობლად დაეხმარება მათ წარმატებულ მუშაობაში.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს—დამკვრელური შრომა

ინერგება სიახლე

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი კარგ შედეგებს აღწევს. აქ წარმატებით სრულდება სახელმწიფო დავალებანი.



სურათებზე: ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ქუთაისელი ავტომშენებელი, რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი, ქარხნის პარტიული კომიტეტის წევრი, გამმართველი სერგი კულუმბეგაშვილი ყრილობისწინა დამკვრელური ვახტის მეწინავეა; ინჟინერ-კონსტრუქტორები ზაურ ხვადაგიანი, მამუკა სულაძე და სამუხრუჭე სისტემების საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი ნუგზარ ქავთარაძე (მარცხნიდან) ამოწმებენ ახალი ავტომატარებლის მოწყობის ხარისხს.

გ. ზარაშვნიძისა და გ. ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მუშათა კლასს—ღირსეული შევსება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა № 36 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის, სოციალისტური შრომის გმირის ე. ბ. სოლომონიას ანგარიში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა რეალიზაციისათვის მუშაობის შესახებ.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სასწავლებლის ხელმძღვანელობა, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, პედაგოგიური კოლექტივი საბაზო საწარმოსთან ერთად კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებენ ახალგაზრდა მუშათა ცვლის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მისი იდეურ-ზნეობრივი აღზრდის სრულყოფისათვის.

მიმდინარე ხუთწლედის მანძილზე პროფტექნიკურმა სასწავლებელმა მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისათვის მოამზადა ხუთი სამუშაო პროფესიის ათასზე მეტი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელთაგან 90 პროცენტს მიენიჭა მაღალი საწარმოო თანრიგები. სასწავლო სახელოსნოებსა და საწარმოო პრაქტიკის დროს დამზადებულია 5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საწარმოთა აქტიური დახმარებით მნიშვნელოვნად განმტკიცდა სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შექმნილია წინამძღოლები შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის პირობებში მომუშავე ფართო პროფილის სპეციალისტთა მომზადებისათვის.

გამდიდრდა აღმზრდელობითი პროცესის შინაარსი, გაძლიერდა მისი პოლიტიკური მიმართულება. მოწონებას იმსახურებს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოსწავლეთა მომზადების სისტემა, რომელიც სასწავლებელშია შექმნილი. აქ ფუნქციონირებს ოჯახური ცხოვრების ფსიქოლოგიისა და ეთიკის ფაკულტეტი, საოჯახო მეურნეობის ეკონომიკის კურსები და სხვ.

მოსწავლეთა კომუნისტურ აღზრდაში და კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სასწავლებელს მიენიჭა ლენინური კომკავშირის პრემია, არაერთგზის აღინიშნა საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების ჯილდოებით.

სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივის მიღწევებში მნიშვნელოვანია ე. ბ. სოლომონიას წვლილი, რომელიც უნარიანად ხელმძღვანელობს მის საქმიანობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა № 36 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექციას, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებსა და პედაგოგიურ კოლექტივს მადლობა გამოუცხადა.

პოლიტექნიკური სასწავლებლის ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური კოლექტივის, საბაზო საწარმოების წინაშე დგას ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის შემდგომი პრაქტიკული განხორციელების სერიოზული ამოცანები.

მაგრამ სასწავლებელში ჯერ კიდევ საკმარისად არ არის უზრუნველყოფილი ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების სწავლების პროფესიული მიმართულება. მოსწავლეთა პროფესიული მომზადების დონე ყოველთვის არ შეესაბამება თანამედროვე წარმოების მოთხოვნებს.

შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს საბაზო ორგანიზაციებისა და სასწავლებლების ურთიერთობა. ყველა საწარმოში როდია უზრუნველყოფილი მოსწავლეთა საწარმოო სწავლება და პრაქტიკა მოწინავე საამქროებში, უბნებსა და სამუშაო ადგილებზე, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, აქვთ მაღალი დონის ტექნოლოგია და შრომის ორგანიზაცია.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, პროფტექნიკური სასწავლებლების საბაზო საწარმოები, რომლებიც კადრებს ამზადებენ მრეწველობის ამ დარგისათვის, სრულად ვერ იყენებენ მინიჭებულ უფლებებსა და არსებულ შესაძლებლობებს, რათა დაეხმარონ სასწავლებლებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში.

სკოლის რეფორმის მოთხოვნების მიხედვით სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებისათვის, ამ სასწავლებლის ეტალონურ სასწავლებლად გადაქცევისათვის მისმა ხელმძღვანელობამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრან ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი მოსწავლეთა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა და პროფესიული მომზადების დაყენებაში, მსუბუქი მრეწველობის სისტემისათვის უნდა მოამზადონ ყოველმხრივ განვითარებული, ტექნიკურად განათლებული, კვალიფიციური მუშები.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტსა და რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს რეკომენდაცია მიეცათ გააძლიერონ კონტროლი, რათა პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა და საქვეუწყებო საწარმოებმა პრაქტიკულად განახორციელონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა რეალიზაციის ერთობლივი ღონისძიებათა გეგმები.

უნდა ამაღლონ პროფტექნიკური სასწავლებლებისა და საბაზო საწარმოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მუშათა კადრების მომზადების ხარისხისათვის, მაქსიმალურად გამოიყენონ საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების სასწავლო ბაზა მუშათა ხელახალი მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, განახორციელონ შრომის ბრიგადულ ფორმაზე, წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პირობებში მუშაობისათვის ფართო პროფილის კადრების მომზადების შემდგომი გადიდების ღონისძიებანი.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების ასაშენებელი ობიექტების დროული დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, პროფტექნიკურ სასწავლებლებში სამუშაოდ გაგზავნოს მოწინავე მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მუდმივი კონტროლი დაუწესოს წარმოებაში პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გამოყენებას.

საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა განახორციელოს ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საქმიანობის ხელმძღვანელობა, განმტკიცდეს დისციპლინა და დამყარდეს წესრიგი, უზრუნველყოფილ იქნეს ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი კოლექტივებში, შეიქმნას ყოველგვარი დარღვევებისადმი შეურიგებლობის ვითარება.

სამინისტროებსა და უწყებებს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად წინადადება მიეცათ შეიმუშაონ კომპლექსური პერსპექტიული გეგმები, რომელთა მიზანია სასწავლებლების, საწარმოში სასწავლო საამქროებისა და უბნების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცება და გაფართოება, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფა, მოსწავლეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა საჭირო ღონისძიებანი უნდა განახორციელონ იმისათვის, რომ სასწავლებლებში დამყარდეს სათანადო წესრიგი ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმიდან გამომდინარე თვისებრივად ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით. მათ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სასწავლებლების ინჟინერ-პედაგოგიური და ხელმძღვანელი კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, უფრო აქტიურად ჩააბან ისინი სხვადასხვა ფორმის პარტიულ და ეკონომიკურ სწავლებაში, გააუმჯობესონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ პროფტექნიკური სასწავლებლებისა და საბაზო საწარმოების ხელმძღვანელობა, გააძლიერონ კონტროლი იმისადმი, თუ როგორ მუშაობენ სამინისტროები და უწყებანი, საბაზო საწარმოები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

(საქინფორმი).

საკავშირო ფონდში — მაღალხარისხოვანი ბოსტნეული

გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა გამოიჩინეს ინიციატივა — ქვეყნის სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში სარეალიზაციოდ გაგზავნონ მაღალხარისხოვანი საადრეო ბოსტნეული გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში.

საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებაზე მიღებულ და პარტიის გარდაბნის რაიკომის მიერ მოწონებულ მიმართვაში ნათქვამია:

ჩვენი მეურნეობის ბოსტნებში პასუხსაგები დრო დადგა — საადრეო კომბოსტოს მოსავლის აღე- [illegible]

ობისათვის მზადება. კომბოსტოს დავუთმეთ 150 ჰექტარი ნაყოფიერი სარწყავი მიწები. შევარჩიეთ ჩვენი პირობებისათვის შესაფერისი ჯიშები „დერბენტი", „აფშერონი" და სხვა. ყველა აგროტექნიკური წესის ზუსტად დაცვის, შრომის ორგანიზაციის, მატერიალური და მორალური სტიმულირების პროგრესული ფორმების დანერგვის გზით, ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, მოსავლისათვის ბრძოლა მოვიგეთ. ის, ვინც ამ დღეებში ეწვევა ჩვენს ბოსტნებს, დარწმუნდება, რომ ჩვენებული [illegible]

ხშირად ხარისხოვანი პროდუქცია მომხმარებლამდე არასახარბიელო სახით მიდის.

ჩვენი საბჭოთა მეურნეობის დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავეს საადრეო კომბოსტოს სარეალიზაციოდ მომზადების სახელმწიფო სტანდარტის პირობების შესრულებისადმი მკაცრი კონტროლის სისტემა. ყოველ მებოსტნეს, ყოველ მძღოლს, რომელსაც გადააქვს პროდუქცია მინდვრიდან რკინიგზის სადგურამდე, დამზადებასთან დაკავშირებულ სხვა პირებს, პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ ხარისხისათვის.

ვუმზადებთ რა ღირსეულ შეხვედრას სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, გადავსწყვიტეთ საადრეო კომბოსტოს წარმოების შესაძლებლობ- [illegible] გათვალისწინებული 5.100 ტონის ნაცვლად. (საქინფორმი).

ჯერ კიდევ მარშან შემოდგომიდან დაიწყო ახლანდელი ალო- [illegible] სამწუხაროდ, როგორც გასული წლების მაგალითი ცხადყოფს, [illegible]

580 000 ტონა ჩაისათვის

გავაძლიეროთ კრეფის ტემპი

საქართველოს ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ცნობით, მიმდინარე წლის 28 მაისისათვის რესპუბლიკაში სულ დამზადებული იყო 39.735 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. დღიურმა კრეფამ 5400 ტონას კადაამეტა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმიტომაც, რომ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 33.836 ტონით ნაკლები ნედლეულია დამზადებული.

27 მაისს მახარაძის რაიონში მოიკრიფა 804 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ზუგდიდში 692, ქობულეთში 549, გალში 540, ხელვაჩაურში 342, წალენჯიხაში 329, ჩხოროწყუში 282, [illegible] თერჯოლაში 35, ჭიათურის ზონაში 29, სოხუმში 25, გულრიფშში 25, აბაშაში 7, ქედაში 4 და ვანში 3 ტონა.

როგორც ვხედავთ, ბევრგან კრეფის ტემპი ნელია. ყველაფერს მკაცრ ზამთარს ნუ დავაბრალებთ. ახლა ბუჩქებს სითბოც და ტენიც იმდენი აქვს, რამდენიც ხარისხოვანი ჩაის ფოთლისათვის არის საჭირო. მეჩაიე რაიონების ყველა რეგიონში, ჩაი საკრეფად საკმაოდ არის შემოსული.

რედაქციაში შემოსული სიგნალები მიგვანიშნებენ, რომ ყველგან გულისყურით როდი ეკიდებიან ჩაის კრეფას, აყოვნებენ, რაც გადაუხვევს და დიდძალ დანაკარგს იწვევს. ჩაის ფოთლი- [illegible] ზე მკაცრი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

შეასრულეს ხუთწლედის გეგმა

მეთერთმეტე ხუთწლედში დამაჯერებლად იბრძვის საუკეთესო საბოლოო შედეგებისათვის „საქყოფქიმიის" საწარმოო გაერთიანების კოლექტივი. სისტემატურად გადაჭარბებით სრულდება პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის სახელმწიფო გეგმები, უმხედესდება ყველა დანარჩენი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, მრავალი ღონისძიება ხორციელდება შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის, მოწოდების ვალდებულების შესრულებისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გაერთიანების კოლექტივის საქ- [illegible] ველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმის მოთხოვნებს.

ქიმიკოსებმა აპრილის დამდეგისათვის შეასრულეს უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა. დამზადდა საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული 35,751 ათასი მანეთის სხვადასხვა სახეობის ნაწარმი. ხუთწლედის დავალების გადამეტებით მომხმარებელს გაეგზავნა 961 ათასი მანეთის ხარისხისნიშნიანი პროდუქცია.

მიმდინარე ხუთწლედის დამლევამდე გაერთიანების კოლექტივი 7200 ათასი მანეთის სახელმწიფო ხარისხისნიშნიან პროდუქციას გამოუშვებს.

„კომუნისტის" კორ.

მეგობრულ ვითარებაში

27 მაისს კრემლში საუზმე გაუმართეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს, სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარეს ვ. ბრანდტს.

ვ. ბრანდტთან ერთად საუზმეზე იყვნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწენი, რომლებიც მას თან ახლავან მოგზაურობაში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. კასტლი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ მ. ს. გორბაჩოვი, ა. ა. გრომიკო, ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები ა. მ. ალექსანდროვი, ვ.ვ. ზაგლადინი, სხვა ოფიციალური პირნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა საუზმეზე სიტყვა წარმოთქვა.

მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

პატივცემულო თავმჯდომარევ ვილი ბრანდტ!

პატივცემულო სტუმრებო!

ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ, გულითადად მივესალმო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს და სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარეს ვილი ბრანდტს.

ჩვენ ეს-ეს არის საფუძვლიანი საუბარი გვქონდა და, ვგონებ, გულწრფელად შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენი სჯა-ბაასი შინაარსიანი და სასარგებლო იყო, იგი ხელს უწყობდა ერთმანეთის პოზიციების ჩვენეული გაგების გაღრმავებას.

ჩვენს ხალხს აქვს უბრალო, მაგრამ ბრძნული ანდაზა: „რასაც დასთეს, იმას მოიმკიო". თქვენ, ბატონო ბრანდტ, არცთუ ისე შორეულ წარსულში სასიკეთო მარცვალი დათესეთ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ველზე, ევროპის თანამშრომლობის ველზე. თქვენს სახელს განუყრელად უკავშირდება 1970 წლის აგვისტოში მოსკოვის ისტორიული ხელშეკრულების დადება. ამ ხელშეკრულებამ დასაბამი მისცა ჩვენი ორი ქვეყნისა და ხალხის ახლებური კონსტრუქციული, ნამდვილად კეთილმეზობლური ურთიერთობის ეტაპს. ამასთანავე მან გზა გაუხსნა პროდუქტიულ თანამშრომლობას უფრო ფართო თვალსაზრისითაც ევროპის კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებს შორის ანუ, როგორც ამბობენ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

სამწუხაროდ, იმ წლების მთავარ მიღწევას — დაძაბულობის შენელებას, თუმცა მაინც გამოიქვს მნიშვნელოვანწილად ჩვენი კონტინენტის ხალხთა სასიკეთო ნაყოფი, გააფთრებით დაეცხრნენ თავს კონსერვატიული და რეაქციული წრეები. თვით ეს გამოთქმა თითქოს კანონგარეშე აღმოჩნდა გამოცხადებული დასავლეთის მთელ რიგ სახელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკურ ლექსიკონში.

დღეს, შევეხეთ რა საერთაშორისო ვითარებას, ორივემ დავადასტურეთ: ამ ვითარებაში ბევრი რამ არის ისეთი, რაც საგონებელში აგდებს ყველას, ვინც აფასებს ქვეყნად მშვიდობას, ვისთვისაც ძვირფასია პროგრესის იდეალები.

მართლაც, ომის საფრთხე კონფრონტაციის წლებში გაძლიერდა, გამწვავდა. მსოფლიო ერთობ საშიშ მიჯნას მიადგა. გამალებული შეიარაღება გრძელდება და უმაგალითო მასშტაბს მიაღწია. უფრო მეტიც, სწორედ ის ძალები, რომლებმაც იგი პროვოკაციულად გამოიწვიეს, ახლა კოსმოსზე ილესავენ კბილებს.

დედამიწის ზურგზე არ არის ხალხი, რომელსაც არ აშფოთებდეს კოსმოსის მილიტარიზაციის ამერიკისეული გეგმები. ეს შეშფოთება ღრმად საფუძვლიანია. რეალურად შევხედოთ საგნებს: ასეთი გეგმების განხორციელება ძირს გამოუთხრიდა განიარაღების საკითხთა მოლაპარაკებას. უფრო მეტიც, ეს მკვეთრად გაზრდიდა ჭეშმარიტად გლობალური, ყოვლის მომსრავი სამხედრო კონფლიქტის საფრთხეს. და ისინი, ვისაც შეუძლია პირუთვნელად აფასებდეს ვითარებას და ვისაც გულწრფელად სწადია მშვიდობის შენარჩუნება, არ შეიძლება იყვნენ „კოსმოსური ომების" მომხრენი.

რა თქმა უნდა, კოსმოსი ყოველთვის მიიზიდავს ადამიანს. კოსმოსის ათვისებას, როგორც პრაქტიკულად დაურწმუნდით, შეუძლია ბევრი რამ მოგვცეს ჩვენი მიწიერი ცხოვრების განვითარებისა და სრულყოფისათვის. და, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, სახელმწიფოებმა რომ შეძლონ რაღაც ფორმით გაერთიანებინათ თავიანთი ძალისხმევა, მოეგვარებინათ თანამშრომლობა, ოღონდ არა კოსმოსური სივრცის სიკვდილისა და ნგრევის წყაროდ გასახდელად, არამედ ყველა ხალხის ინტერესებისა და მშვიდობიანი მოთხოვნილებების შესაბამისად მისი მშვიდობიანი ათვისების საკეთილდღეოდ. სსრ კავშირი ასეთი თანამშრომლობის მომხრეა.

(დასასრული მე-2 გვ.)

საქორვებს სიცოცხლეს უბრუნებენ

რესპუბლიკის მცირე მელიორაციის რაზმები ყოველწლიურად სიცოცხლეს უბრუნებენ ასობით ჰექტარ გავლიან საძოვრებს. წლის დამდეგიდან მელიორატორებმა მეცხვარეებს გადასცეს კიდევ 400 ჰექტარი სარწყავი მასივები.

— ამჟამად 314 ათასი ჰექტარი საძოვრიდან ჩვენ გვავარწყავეთ „საიუბილეო" მეოცდახუთიათასე ჰექტარი, — თქვა ყიზლარის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ავთანდილ ხოჯევანიშვილმა. — რწყვა მიმდინარეობს მძლავრი სატუმბი სადგურების მეოხებით, რომლებიც წყალს აწვდიან საძოვრებს.

წლის დამლევისათვის მელიორატორები ბრუნვაში მოაქცევენ კიდევ 500 ჰექტარ წინათ გავლიან მიწას. (საქინფორმი).

პარტიის ორგანიზაციული მუშაობა

გამოვიდა პირველი ტომი ოთხტომიანი გამოცემისა „ვ. ი. ლენინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის შესახებ", რომელიც მოამზადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებამ.

პირველი ტომი „სკკპ წევრობა" შეიცავს, მთლიანად ან ნაწილობრივ, ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, სკკპ დოკუმენტებს, რომლებიც აშუქებენ პარტიის შემადგენლობის ჩამოყალიბების, მისი რიგების ზრდის რეგულირების, წევრობის ლენინური პრინციპებისა და ნორმების ჩამოყალიბება-განვითარების, პარტიის სოციალური ბაზის გაფართოების პროცესს, ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის პრობლემებს.

წიგნი გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკდესი).

ვიზიტად მოსკოვში

საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით 28 მაისს მოსკოვში ვიზიტად ჩამოვიდა იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. კრაქსი.

აეროპორტში სტუმარს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

მეგობრულ ვითარებაში

(დასასრული)

ჩვენ გვამოძრავებს მტკიცე პოლიტიკური მისწრაფება, რომლის მიზანია დამკვიდრდეს მშვიდობა, თავიდან იქნეს აცილებული ომი, შემცირდეს შეიარაღება, მერე კი მთლიანად აიკრძალოს და მოისპოს ბირთვული იარაღი. ეს არის მისწრაფება მივაღწიოთ დაძაბულობის შენელებას, დავამყაროთ ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობა და ორმხრივი თანამშრომლობა ყველა ქვეყანასთან, მიუხედავად მათი სოციალური წყობილებისა. და ამ მისწრაფებას, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ხორცს ვასხამთ კონსტრუქციული ინიციატივებით, ნათელი წინადადებებით, რომლებიც გამორიცხავენ საწინააღმდეგო განმარტებებს, სწორედ ასეთი სულისკვეთებით ვმოქმედებთ ამჟამად მიმდინარე ყველა მოლაპარაკებაზე, — ჟენევაში, სტოკჰოლმში, ვენაში.

ზნული. მე მხედველობაში მაქვს, მაგალითად, ევროპის სხვადასხვა რაიონში უბირთვო ზონების შექმნის იდეები, შვეციის პრემიერ-მინისტრის ბატონ პალმეს წინადადება, რომ შეიქმნას ევროპაში ზონა, რომელიც თავისუფალი იქნება საბრძოლისველო ბირთვული იარაღისაგან. საბჭოთა კავშირს უკვე არაერთგზის დაუჭერია მხარი ასეთი ზონების შექმნისათვის. ჩვენ ეს აზრი არ შეგვიცვლია. სწორედ ასევე ვიზიარებთ ევროპაში ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის იდეასაც, რომელსაც აქტიურად უჭერს მხარს თქვენი პარტია.

ჩვენ კარგად ვიცით, ბატონო ბრანდტ, რაოდენ დიდი ყურადღებით ეკიდებით თქვენ განვითარებული და განვითარებადი სახელმწიფოების ურთიერთობის პრობლემებს. ჩვენთვის ეს ღრმად გასაგებია. ადამიანის სინდისი ვერ შეურიგდება იმას, რომ მილიონობით ადამიანი აფრიკაში, აზიაში, ლათინურ ამერიკაში შიმში-...

[illegible]

ვ. ბრანდტის სიტყვა

[illegible]

თბილისის „ჰიდრომეტხელსაწყოს" ქარხნის კოლექტივის პროდუქცია ორმოცზე მეტ ქვეყანაში იგზავნება. საწარმოს კოლექტივი ყველაფერს ღონობს ნაწარმის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდისათვის.

ქარხნის საერთო წარმატებაში თავისი წვლილი შეაქვთ საამწყობო-სამონტაჟო უბანს, რომელსაც კომუნისტი ვახტანგ ჩარგეიშვილი ხელმძღვანელობს. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ზეინკლები — ლენინის ორდენოსანი ა. კარმაევი, გ. სხორშიკოვი, თ. ლომსაძე, გ. ვაშაკიძე, ლ. ლოგინოვი, ელექტროხელსაწყოების მარეგულირებელი ს. ბროდნიკოვი და ელექტრომემონტაჟე მ. ხუბულაშვილი.

სურათზე: უბნის უფროსი ვ. ჩარგეიშვილი და ამწყობი ზეინკალი ე. კერეხე-...

[illegible]

მილოცვა ადამიანებს

[illegible]

ავტომატიზაციის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

[illegible]

საჭიროა მეტი ორგანიზებულობა

[illegible]

პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირით

[illegible]

შემოქმედებითი ძიების ენთუზიასტები

[illegible]

ვაჭრობა, მომსახურება, პრობლემები

კონტროლი, რევიზია ეფექტს, უკუგებას უნდა იძლეოდეს

საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის გამართულ და ეფექტიან მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობაში და განსაკუთრებით მომსახურების სფეროს დარგებში. ამ პრობლემურ საკითხებზე ჩვენი კორესპონდენტი ნ. ნორაკიძე ესაუბრა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ვ. ტრაპაიძეს.

— მომსახურების სფეროს დიდი ხვედრი მოაქვს ადამიანებისათვის, მაგრამ ზოგჯერ მომხმარებელი მაინც უკმაყოფილოა, რადგან ზოგიერთ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ გვხვდება ნეგატიური მოვლენები, სახელმწიფო ქონების დატაცებისა და სხვა დანაშაულობათა შემთხვევები. რით აიხსნება ეს გარემოება, როდესაც კონტროლის მრავალი სახე არსებობს?

— ამ საკითხის ირგვლივ გამართულმა საუბარმა ბევრი საყურადღებო აზრი შეიძლება გამოკვეთოს, მოკლე პასუხი კი ასეთი იქნება: მომსახურების სფეროში მიღწეულ წარმატებათა მიუხედავად შექმნილი არასასურველი ვითარება აიხსნება სამრეწველო, სავაჭრო და მომსახურების სფეროს სხვა ორგანიზაციების, საკონტროლო ორგანოების, სარევიზიო სამსახურების არადამაკმაყოფილებელი მუშაობით.

ნაკლოვანებათა გამომწვევ სხვა მიზეზებს ჩვენ ამჯერად არ შევეხებით. საუბარი გვექნება საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების საქმიანობაზე.

რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს მუშაკების მიერ მოკვლეული მასალებისა და სარევიზიო მუშაობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ამ საქმეში გარკვეული ძვრების მიუხედავად სარევიზიო სამსახურების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს, არ სრულდება მაღალხარისხოვნად, ეფექტიანად, უკუგებით.

მაგალითი პირველი. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის მუშაობას წლების მანძილზე სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებდა. ყურადღება არ ექცეოდა სარევიზიო შტატის მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას, არ სრულდებოდა რევიზიის მოწყობის გეგმები, უხარისხოდ მიმდინარეობდა რევიზია, ჭიანურდებოდა მისი შედეგების განხილვა, გვიანდებოდა გამოვლენილ დანაშაულობათა საქმეების საგამოძიებო ორგანოებისათვის გადაცემა. ზოგჯერ ჩქმალავდნენ კიდეც დანაშაულს.

კონტროლი და რევიზია მაშინ არის სრულფასოვანი, როდესაც მას შესაფერისი და დროული რეაგირება მოჰყვება, დანაშაული აღიკვეთება. ვაჭრობის სამინისტროში კი რევიზიების შედეგები უმრავლეს შემთხვევაში დაგვიანებით განიხილებოდა. ამასთან საბუღალტრო აღრიცხვა და საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობა სათანადო დონეზე არ იდგა. ყოველივე ამის შედეგად სისტემაში იმატა სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცების, უსაქონლო ოპერაციების გაფორმების (მხედველობაში გვაქვს „საქბაკალეის" თბილისის ბაზაში 1982 წელს გამოვლენილი დარღვევები), დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა გაურკვევლობის შემთხვევებმა და სხვა.

სარევიზიო აქტების ხარისხი ჯერ კიდევ ვერ დგას დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სარევიზიო სამსახურებში. აქტებში ხშირად დიდი ადგილი უკავია საბუღალტრო-სტატისტიკურ მონაცემებს, რასაც სათანადო ახსნა და ანალიზი არ ახლავს. მიზეზი უნდა ვეძებოთ საკონტროლო-სარევიზიო დარგის მუშაკთა უპასუხისმგებლობაში, იმაში, რომ მათ აკლიათ ხელმძღვანელი ორგანოების, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელების კონტროლი და ზედამხედველობა. ზოგჯერ წლიდან წლამდე არ ამოწმებენ იმ მუშაკთა საქმიანობას, რომლებიც კონტროლს ახორციელებენ.

მაგალითი მეორე. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში დარღვეულია რევიზიის პერიოდულობა, ზოგიერთ სამეურნეო ორგანიზაციაში რევიზიის გეგმა 77,2 პროცენტით არის შესრულებული, ხოლო კომპლექსურისა — 66.4 პროცენტით. შარშანდელი მონაცემებით იგი შესაბამისად 72 და 80 პროცენტს უდრის. როგორც ხედავთ, ბევრი ობიექტის მუშაობა მთელი წლის მანძილზე უკონტროლოდ, თვითდინებაზე იყო მიშვებული.

ნაკლებად ხორციელდება პროფილაქტიკური ღონისძიებანი, გახშირდა გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები. შარშანწინ გამოვლენილი უკანონო ხარჯების, დატაცება-დანაკლისის და ფასეულობათა გაფუჭების ფულადმა ზარალმა 820 ათას მანეთს მიაღწია, ხოლო შარშან — 1022 ათას მანეთს. ამავე სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში სისტემატურად მიმართავენ წამატებებს და შემდგომ ორგანოს წარუდგენენ გეგმების შესრულების ყალბ მაჩვენებლებს, მაგრამ ეს გარემოება რევიზიის მხედველობის არეში ჯერ არ მოხვედრილა. მიმდინარე წლის დასაწყისში აქ გამოვლინდა საფინანსო დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტები. სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო უბნებიც „გეგმის შესრულებისათვის" სისტემატურად მიმართავენ წამატებებს.

მაგალითი მესამე. ცეკავშირის სისტემაშიც დარღვეულია რევიზიის მოწყობისა და განხილვის ვადები, კონტროლს არ უწევენ რევიზიის შედეგად მიღებულ ღონისძიებათა შესრულებას, ნაკლებად ხდება შემხვედრი შემოწმებები. სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სამშენებლო სამუშაოების შემოწმებას, ხშირ შემთხვევაში ვერ ხედავენ ვაჭრობის წესების უხეში, სერიოზული ხასიათის დარღვევებს. ეს დარღვევები კი არსებობს და მათ სხვა საკონტროლო ორგანოები გამოავლენენ ხოლმე.

რევიზიის უხარისხო მოწყობის გამო მასალებში არა ჩანს, რა მდგომარეობაა გეგმის შეუსრულებლობის, რეზერვების გამოვლენის, შრომის ნაყოფიერების ზრდის და თვითღირებულების შემცირების მხრივ. ცეკავშირის სარევიზიო სამსახურმა შარშან ვერ შეასრულა რევიზიის მოწყობის გეგმა.

დამაკმაყოფილებელი არ არის სისტემაში საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის მდგომარეობა, ნაკლები ყურადღება ექცევა პროფილაქტიკას, მიმდინარე და წინასწარი კონტროლის როლსა და მნიშვნელობას. ქონების დატაცება-განიავებისა და საქონლის გაფუჭების შემთხვევები კლების ნაცვლად მატულობს. შარშანწინ რევიზიებით გამოვლენილი უკანონო ხარჯების, დანაკლისისა და საქონლის გაფუჭების ზარალმა 3028 ათას მანეთს მიაღწია, ხოლო შარშან 3556 ათას მანეთს. სოციალისტური საკუთრების დატაცება-დანაკლისი შესაბამისად 81 ათასი მანეთიდან 556 ათას მანეთამდე გაიზარდა.

მაგალითი მეოთხე. ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტში მეტისმეტად დაბალ დონეზე დგას საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა. სისტემატურად იფუშება რევიზიის მოწყობის გეგმა. მახარაძის, გაგრის, გარდაბნის, ზესტაფონის, ქუთაისის, ჯვრის, ახალციხის, წნორის, თელავის, გურჯაანის ნავთობბაზებში ერთი მარკის ბენზინის ნაცვლად სხვა მარკისას იძლევიან.

საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის არაეფექტიანი მუშაობის შედეგია, რომ სისტემის ზოგიერთ ორგანიზაციაში ხდება სოციალისტური საკუთრების ხელყოფის ფაქტები. კონტროლი არ უვარგათ, მაგრამ გამოვლენილი დარღვევებისთვისაც დამნაშავეებს პასუხს ნაკლებად სთხოვენ, ლმობიერად ეკიდებიან. ასეთ ვითარებაში, ცხადია, დანაშაულობანი და გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები ხშირია. შარშანწინ ამ სისტემაში სახელმწიფომ 46,1 ათასი მანეთი იზარალა, შარშან კი 80,3 ათასი მანეთი. შარშანწინ სამუშაოდან დაითხოვეს 24 თანამშრომელი, დისციპლინური სასჯელი დაედო 25-ს, შარშან კი მხოლოდ 12 თანამშრომელი დაითხოვეს, ხოლო დისციპლინური წესით არავინ დაუსჯიათ.

ამგვარად, კონტროლის მოდუნება და სახელმწიფო დისციპლინის შესუსტება ხელს უწყობს დანაშაულობათა მატებას, სახელმწიფო სახსრების დიდი ოდენობით დატაცებას.

— რა არსებითი გზები გესახებათ საკონტროლო სამსახურების ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის?

— ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ მომსახურების სფეროს დარგების საკონტროლო-სარევიზიო სამსახურებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებანი. ეს შემთხვევითი ჩამოთვლა არ გახლავთ. ნაკლოვანებათა მითითება მათი დაძლევის გზების ჩვენებაც არის.

სარევიზიო მუშაობის ხარისხის, მისი ეფექტიანობისა და ქმედითობის ამაღლებას, ჩვენი აზრით, დიდ სარგებლობას მოუტანს მომსახურების სფეროს სისტემებს სარევიზიო სამსახურების ერთიან საკონტროლო-სარევიზიო აპარატად გარდაქმნა, მისი ცენტრალიზაცია, მით უფრო, რომ აღნიშნულ საკითხზე არსებობს პარტიისა და მთავრობის ერთობლივი დადგენილება, და იგი უნდა განხორციელდეს.

სამინისტროთა, უწყებათა ხელმძღვანელებმა, საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების მესვეურებმა, მათ შორის ჩვენც, უნდა ვიზრუნოთ, ვეძებოთ საშუალებები, დავხვეწოთ მუშაობის არსებული ფორმები და მეთოდები, რათა გზა გადავუღობოთ საქმოსნებს, აღმოვფხვრათ ნეგატიური მოვლენები.

— მომსახურების სფეროს სამინისტროებსა და უწყებებს, მათი საკონტროლო სამსახურების ხელმძღვანელებს აქვთ თუ არა შემუშავებული კონკრეტული, ქმედითი პროფილაქტიკური ღონისძიებანი, რომლებიც ეფექტიან შედეგს მოგვცემენ დანაშაულობათა თავიდან აცილებისა და სახელმწიფო ქონების დაცვაში?

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიის სხდომამ ამას წინათ განიხილა რესპუბლიკის მომსახურების სფეროს სამინისტროებსა და უწყებებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ეფექტიანობის საკითხი, მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისათვის და გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

მომსახურების სფეროს სამინისტროების საკონტროლო-სარევიზიო სამსახურებმა ერთი თვის ვადაში უნდა შეიმუშაონ რადიკალური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას, სახელმწიფო ქონების დაცვას.

ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებმა, ცეკავშირმა და სხვა ორგანიზაციებმა უკვე შეიმუშავეს სარევიზიო სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა და შეუდგნენ კიდეც მის განხორციელებას. ეს ამბავი ჩვენთვის ცნობილია იმდენად, რამდენადაც გეგმებში გათვალისწინებულ საკითხთა ნაწილი ფინანსთა სამინისტროსთან ერთობლივად ხორციელდება.

ზემოთ ჩამოთვლილ სამინისტროებსა და მათ უწყებებში უკვე დაიწყო გარდაქმნები. მოხდა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების რეორგანიზაცია და ცენტრალიზაცია. დიდ ყურადღებას უთმობენ კადრებთან მუშაობას, ემზადებიან საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის მუშაკთა ატესტაციისათვის, სამინისტროებსა და ცეკავშირს დაგეგმილი აქვთ რესპუბლიკური თათბირ-სემინარების მოწყობა, ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა საკონტროლო ორგანიზაციებთან ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება, ყურადღებას აქცევენ რაიონული რგოლების მუშაობის გაძლიერებას.

ვაჭრობის სამინისტროს განზრახული აქვს აღკვეთოს წარმოებიდან მაღაზიებში საქონლის უშუალოდ შემოზიდვა, ეს პროცესი ბაზების მეშვეობით უნდა შესრულდეს. ჩანაფიქრი ქალაქ რუსთავში უკვე განხორციელდა.

ეს ღონისძიება საშუალებას იძლევა ბაზებში კონტროლი გაეწიოს საქონლის მარკირებას, აღიკვეთოს უფაქტურო საქონლის ქსელში გაპარება და სხვა ნეგატიური მოვლენები.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო სამსახურებს შემუშავებული აქვთ რევიზიებისა და თემატური შემოწმებების ერთიანი გეგმა. მიმდინარე წელს შემოწმდება 17 ორგანიზაცია და შედეგები განიხილება ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მონაწილეობით. ამ სამინისტროს საკონტროლო სამსახური ეფექტიანობას ჩატარებული რევიზიის ხელახალი შემოწმებით აღწევს. აქ ფიქრობენ რევიზორის სტიმულირების ფორმების დამუშავებაზეც და სხვა.

ცეკავშირის სარევიზიო სამსახურის მიერ დასახულ გეგმაში ყურადღებას იმსახურებს პრაქტიკაში უკვე დანერგილი მეთოდი. მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციაში მეზობელი რაიონებიდან მოწვეული სპეციალისტები მონაწილეობენ. კოოპორგანიზაციებიდან უზრუნველყოფენ წელიწადში ორჯერ ისეთი ინფორმაციების მიღებას, როგორიცაა: ზენორმატიული ნაშთები მდგომარეობა, ინვენტარიზაციის დროულობა, მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა შვებულებით დაკმაყოფილება. ახალგაზრდა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სამმართველომ გამოიყენა დამრიგებლობის მეთოდი — გამოცდილ სპეციალისტებზე ახალგაზრდების მიმაგრება.

ამგვარად, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის რეკომენდაციები მომსახურების სფეროს დარგების საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების საქმიანობაში ეფექტიანობის მისაღწევად ხორციელდება. იმედია, კარგ შედეგსაც მოგვცემს.

სოციალისტურ ქვეყნებში

გდრ

საიუბილეო ვაგონი

ბერლინი. დესაუს ვაგონსაშენებელი ქარხნის საამწყობო საამქროდან გამოვიდა ახალი სატვირთო ვაგონი, რომელიც დამშვენებულია წითელი ტრანსპარანტით და ციფრით „35000". იგი მალე ფოლადის მაგისტრალით გზას გაუდგება საბჭოთა კავშირისაკენ. აქ დამზადდა საიუბილეო ვაგონი საბჭოთა შემკვეთებისათვის.

საბჭოთა პარტნიორებთან მჭიდრო კონტაქტები საწარმოს 1945 წლიდან აქვს. ახლა დესაუს ვაგონმშენებლებსა და სსრ კავშირის ვაგონსაშენებელი საწარმოების კოლექტივებს შორის დადებულია მრავალრიცხოვანი შეთანხმებები ახალი ტიპის ვაგონების შემუშავებისა და შექმნის დარგში თანამშრომლობის შესახებ. ყველა აქ დამზადებული ვაგონ-მაცივრების თითქმის 90 პროცენტი საბჭოთა კავშირში იგზავნება.

მონღოლეთი

თანამშრომლობის მაგალითი

ულან-ბატორი. საბჭოთა კავშირის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე შეადგინეს მონღოლეთის ძირითადი ბუნებრივი ზონებისა და ეკონომიკური რაიონების თემატური ატლასების სერია. მათი შედგენა იმის კონკრეტული მაგალითია, რომ საბჭოთა და მონღოლი მეცნიერები ერთობლივად მუშაობენ კოსმოსური კვლევის დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში.

კოსმოსიდან მიღებული მონაცემები ახლა სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

უნგრეთი

ზოგავენ დროს

ბუდაპეშტი. უნგრეთში თვითმომსახურების მაღაზიების ფართოდ გავრცელებამ მნიშვნელოვნად შეამცირა პროდუქტებისა და პირველი საჭიროების საქონლის შეძენის დრო.

მყიდველების თხოვნით, სულ უფრო მეტი სასურსათო საქონელი იგზავნება გასაყიდად დაფასოებული სახით. ამისათვის შექმნილია საჭირო ტექნიკური ბაზა. ახლა უნგრეთის მაღაზიებში დაახლოებით 4 ათასი სპეციალური საფუთავი მანქანაა, რომლებიც პროდუქტებს ახვევენ თხელ პოლიეთილენის აფსკში, შემდეგ აკრავენ იარლიყს საქონლის ზუსტი წონისა და ფასის მითითებით.

უნგრეთის საწარმოების მარკიანი თანამედროვე ტექნიკა და მოწყობილობა ფართოდ იგზავნება საზღვარგარეთ.

კუბა

მშრომელთა დასვენება

ჰავანა. 500 ათასზე მეტ დამსვენებელს მიიღებენ ამ ზაფხულს თავისუფლების კუნძულის ტურისტული ბაზები. დღეს 96 ასეთი ბაზა მოქმედებს კუბის ყველა პროვინციაში.

ეს ითქვა ტურიზმის საკითხებისადმი მიძღვნილ ეროვნულ შეხვედრაზე, რომელიც პინარ-დელ-რიოს პროვინციის ერთ-ერთ ტურბაზაში გაიმართა, მან პირველი ადგილი დაიკავა ტურბაზებში დასვენების საუკეთესო ორგანიზაციისათვის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. შეხვედრის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს იმას, თუ რა დიდი ყურადღება ეთმობა რესპუბლიკაში მშრომელთა დასვენების პირობების განუხრელ გაუმჯობესებას, და აღნიშნეს, რომ მარტო წელს ტურბაზებში დამსვენებელთა მომსახურების სრულყოფისათვის 55 მილიონ პესოზე მეტია გამოყოფილი.

უცხოეთში

ფაქტები, მოვლენები

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 მაისი ■ საქდესი იუწყება

საბჭოთა კავშირ – ინდოეთის მეგობრობის მანიფესტაცია

დელი. ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მკაფიო მანიფესტაციად იქცა ინდოეთის საზოგადოებრიობის მიტინგი, რომელიც აქ გაიმართა სსრ კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრ რაჯივ განდის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის დამთავრებასთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მიერ მოწყობილ ამ მიტინგს დაესწრნენ მთავრობის წევრები, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი.

სსრ კავშირში ინდოეთის მთავრობის მეთაურის ისტორიულმა ვიზიტმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან მ. ს. გორბაჩოვთან მისმა მოლაპარაკებამ ხელი შეუწყო სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის მჭიდრო ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, განაცხადა მიტინგზე სახელმწიფო მინისტრმა ჩანდრა შეკჰარ სინგჰმა. შემთხვევითი არ არის, რომ საზღვარგარეთ რ. განდის პირველი ვიზიტი სწორედ საბჭოთა კავშირში გაიმართა. სსრ კავშირთან მეგობრობა ჩვენი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია, აღნიშნა მინისტრმა. ორი ქვეყნის ურთიერთობა ცხადყოფს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სახელმწიფოთა კავშირურთიერთობის ნაყოფიერებას, თუ მას საფუძვლად უდევს თანასწორობის, სუვერენიტეტის, პატივისცემისა და დაცვის პრინციპები, ერთობლივი ბრძოლა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის.

ინდოელები მეტად კმაყოფილი არიან გულითადი მასპინძლობით, რომელიც სსრ კავშირში ყველგან გაუწიეს პრემიერ-მინისტრ რ. განდის, თქვა თავის გამოსვლაში დელის მერმა მ.ს. სათჰიმ. საბჭოთა ადამიანების სტუმართმოყვარეობა და გულითადობა გამოხატავს ორი ქვეყნის ხალხების ურთიერთსიმპათიასა და პატივისცემას.

გაზეთ „პეტრიოტის" მთავარმა რედაქტორმა რ. კ. მიშრამ აღნიშნა, თუ რა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს რ. განდის მოგზაურობას საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკება ხელს შეუწყობს მშვიდობისათვის, ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებისათვის, კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის წინააღმდეგ ორი სახელმწიფოს ბრძოლის გააქტიურებას, თქვა მან.

იაპონია—აშშ

მორიგი კონსულტაციები

ტოკიო. ტოკიოში დამთავრდა იაპონია-ამერიკის მორიგი სამხედრო კონსულტაციები იაპონიის მიერ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სამხედრო ტექნიკისა და ტექნოლოგიის გადაცემის თაობაზე.

იაპონური პრესის ცნობით, შეერთებული შტატების დელეგაციამ იაპონიის მხარეს გადასცა ელექტრონული და მრეწველობის სხვა დარგების იმ საქონლის კონკრეტული სია, რომელიც შეიძლება სამხედრო მიზნით გამოიყენონ.

ოკეანისგაღმელ ვიზიტიორთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვიეს იაპონურმა სიახლეებმა, რომლებიც შეიძლება „კოსმოსური ომების" მომზადების პროგრამის ხორცშესასხმელად გამოადგეთ.

ავღანეთი

მოსპეს ბანდა

ქაბული. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების ძალებმა ლოგარის პროვინციაში მოსპეს კონტრრევოლუციონერთა დიდი ბანდა. როგორც ბახთარის სააგენტო იუწყება, ბოროტმოქმედნი თავიანთი უცხოელი პატრონების ბრძანებით ეწეოდნენ დივერსიულ-ტერორისტულ საქმიანობას, რომელიც მიმართულია მშვიდობიანი მოქალაქეებისა და სახალხო მეურნეობის ობიექტების წინააღმდეგ. ოპერაციის მსვლელობაში შეიპყრეს 45 ბანდიტი, ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი, აგრეთვე დოკუმენტები და პროპაგანდისტული მასალები, რომლებიც მოწმობენ დუშმანთა უშუალო კავშირს იმპერიალისტური სახელმწიფოების სპეცსამსახურებთან.

აშშ

მკაცრად აკრიტიკებენ რეიგანის პოლიტიკას

ნიუ-იორკი. რეიგანის ადმინისტრაციის რეაქციული საშინაო და მილიტარისტული საგარეო პოლიტიკა მკაცრად დაგმო მე-14 ყოველწლიურ კონფერენციაზე გავლენიანმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ — პროფკავშირების წევრი ზანგების კოალიციამ, რომელმაც მუშაობა დაამთავრა ფილადელფიაში. მისმა მონაწილეებმა — ქვეყნის 72 პროფკავშირული გაერთიანების შავკანიან მშრომელთა წარმომადგენლებმა — სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ უარესდება ზანგებისა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა, ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეები ფართოდ უტევენ მათ მოქალაქეობრივ უფლებებს, ოფიციალურ ხელისუფალთა აქტიური მხარდაჭერით მეწარმენი, აღინიშნა ფორუმზე, ცდილობენ წაართვან ამერიკის მუშათა კლასს მონაპოვრები, რომლებსაც მან ხანგრძლივი თავდადებული ბრძოლით მიაღწია.

ვაშინგტონის ახლანდელი ადმინისტრაციის ანტიხალხური, ანტიდემოკრატიული კურსი პირდაპირი შედეგია იმისა, რომ იგი მოქმედებს უდიდესი მონოპოლიების და, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კორპორაციების ინტერესებისათვის, ხაზგასმით აღნიშნეს თავიანთ გამოსვლებში დელეგატებმა. შეიარაღების ფაბრიკანტთა მოგება სწრაფად იზრდება, მაშინ, როცა მშრომელთა ცხოვრების დონე თანდათან ქვეითდება. მკვეთრად იკვეცება ასიგნებანი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებებისათვის.

კონფერენციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ საჭიროა ალაგმონ გამალებული შეიარაღება, გაყინონ ბირთვული შეიარაღების შემუშავება, წარმოება და განლაგება. ავბედითი გამალებული შეიარაღების შეწყვეტა თავისი კატასტროფული შედეგებით ომის უფსკრულში დაქანების ერთადერთი ალტერნატივაა, აღნიშნეს მათ. კონფერენციამ მკაცრად დაგმო გრენადის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული აგრესია და მოითხოვა, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ შეწყვიტოს ჩარევა ცენტრალურ ამერიკაში და რეგიონის პრობლემათა გადაჭრა ეძიოს მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ვითარების შესახებ სპეციალურ რეზოლუციაში კოალიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უნდა გააქტიურდეს საზოგადოების გამოსვლები აპარტეიდის რეჟიმის სრული იზოლაციისათვის საერთაშორისო ასპარეზზე, იბრძოლონ პრეტორიის რასისტულ რეჟიმთან „კონსტრუქციული თანამშრომლობის" პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ვაშინგტონი ახორციელებს.

ფოტოფაქტი

გაფიცვა პრეზიდენტის რეზიდენციასთან



ვაშინგტონი. ამერიკის დემოკრატიული საზოგადოებრიობის ასობით წარმომადგენელი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან მივიდა თეთრ სახლთან პლაკატებით: „არ დაუშვათ ინტერვენცია ცენტრალურ ამერიკაში!", „დააპურეთ ადამიანები და არა პენტაგონი!". დემონსტრანტებმა მოაწყეს მჯდომარე გაფიცვა პრეზიდენტის რეზიდენციის შესასვლელთან. მათ მოითხოვეს, რომ მთავრობამ სამშვიდობო კურსი განახორციელოს საერთაშორისო ასპარეზზე, მკაცრად დაიცვას სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები. ხელისუფლებმა დემონსტრანტთა გამოსვლას პოლიციური ხელკეტებით უმოწყალო ცემითა და მასობრივი დაპატიმრებებით უპასუხეს.

საქდესის ფოტო.

სამართლიანობა გაიმარჯვებს, ჭეშმარიტება აღდგება

სასამართლო ფარსის წინააღმდეგ

„**სერგი** ანტონოვი უდანაშაულოა" — ასეთ დასკვნამდე მივიდა ცნობილი ფრანგი ადვოკატი კრისტიან რულეტი, რომელმაც გულდასმით შეისწავლა პრესაში გამოქვეყნებული ყველა მასალა პაპ იოანე პავლე მეორეზე თავდასხმაში მონაწილეობის ეჭვით 1982 წლის 25 ნოემბერს რომში დაპატიმრებული ბულგარელი მოქალაქის — „ანტონოვის საქმის" შესახებ.

არსებული ფაქტებისა და მოწმობათა დასაპირისპირებლად გაწეული დაულალავი შრომის შედეგად დაიწერა წიგნი, რომელიც კ. რულეტმა გამოსცა საფრანგეთში 1983 წლის სექტემბერში. ამა წლის მაისში, სასამართლო პროცესის დაწყების წინადღეს, რომაელმა გამომცემელმა რობერტო ნაპოლეონემ ადგილობრივ საზოგადოებრიობას წარუდგინა ამ წიგნის იტალიური გამოცემა, რომელსაც ჰქვია: „იოანე პავლე მეორე, ანტონოვი, აღჯა. კვალი".

პრესკონფერენციაზე, რომელიც რომში წიგნის იტალიურ ენაზე გამოცემასთან დაკავშირებით გაიმართა, კრისტიან რულეტმა განაცხადა, რომ შეთქმულების „ბულგარული ვერსია", რომელიც იტალიელმა მარტელამ წამოაყენა, კრიტიკას ვერ უძლებს. იგი არც ერთ სარწმუნო ფაქტს არ შეიცავს და მთლიანად იმ თურქი ტერორისტის აღჯას საეჭვო ჩვენებებზეა დაფუძნებული, რომელიც სამუდამო პატიმრობაშია რომის ციხეში.

როგორც ცნობილია, აღჯას მრავალრიცხოვანი სენსაციური განცხადებანი წინააღმდეგობებით, არათანმიმდევრულობითა და მტკნარი სიცრუით არის აღსავსე. მას, მაგალითად, არაერთხელ უთქვამს უარი იმაზე, რასაც თავდაპირველად დაჟინებით ამტკიცებდა.

ფრანგმა ადვოკატმა აღნიშნა გამომძიებელ მარტელას სხვა უცნაურობანიც საქმის გამოძიებისას. ჩემი აზრით, თქვა კ. რულეტმა, აღჯასთან საპატიმროს საკანში იტალიის სპეცსამსახურების თანამშრომლების სტუმრობას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მარტელამ კი იგი ხელაღებით არაფრად ჩააგდო, ისევე როგორც არ ისურვა იმ კონტაქტების გულდასმით შესწავლა, რომლებიც აღჯას ჰქონდა მასთან საკანში მისულ „სტუმრებთან". პირიქით, მარტელამ მთავარი ყურადღება დაუთმო აღჯას კონტაქტებსა და ურთიერთობებს მის დაპატიმრებამდე, რითაც ცდილობდა განემტკიცებინა „ბულგარული ვერსია". ეს ვერსია არ ამჟღავნებს წმინდა პეტრეს მოედანზე მომხდარი ბოროტმოქმედების ნამდვილ ორგანიზატორებს, არამედ მხოლოდ სახელს უტეხს ბულგარეთსა და მთლიანად სოციალისტურ ქვეყნებს.

ჩემი წიგნის მიზანია, აღნიშნა რულეტმა, აღვადგინო ჭეშმარიტება, დავიცვა უდანაშაულო ადამიანი. ჩემი ნაშრომით მე განვაგრძობ ფრანგი დემოკრატი იურისტების სახელოვან ტრადიციებს, რომლებმაც თავის დროზე ხმა აღიმაღლეს დრეიფუსისა და ბულგარელი ხალხის სახელოვანი შვილის გიორგი დიმიტროვის დასაცავად. როგორც ცნობილია, 1933 წელს ნაცისტური სასამართლო ლაიფციგში იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა გიორგი დიმიტროვი სამხილების უქონლობის გამო.

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა რომაელ გამომცემელს რ. ნაპოლეონეს მიმართა კითხვით, თუ რატომ გადაწყვიტა გამოეცა ფრანგი ადვოკატის წიგნი. აი, რა თქვა მან:

— „ჩვენი გამომცემლობა ყოველთვის გამოდიოდა მოქალაქეობრივი უფლებებისა და სამართლიანობის დასაცავად. ამიტომ გადაწყვეტილება, გამოგვეცა წიგნი ანტონოვის უდანაშაულობის თაობაზე, ჩვენთვის სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია. გარდა ამისა, იტალიაში დღემდე არაფერი გამოქვეყნებულა რაიმე მნიშვნელოვანი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და მისი მოქალაქეების წინააღმდეგ ამ უხეში პროვოკაციის სამხილებლად. ფრანგი ადვოკატის წიგნი პირველი ამგვარი გამოცემაა. მან მაშინვე ცხოველი ინტერესი აღძრა. ამ წიგნზე განაცხადები მოდის იტალიის ყველა კუთხიდან".

წიგნის გამოსვლა მით უფრო აქტუალურია, რომ უდანაშაულო ადამიანის დევნას უკვე სერიოზული შედეგები მოჰყვა. ს. ანტონოვის დამ ტანია გეორგიევამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი ძმა მეტად მძიმე ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაშია, მისი აზრით, სერგი სათანადოდ ვერ დაიცავს თავს და პროცესზე მხოლოდ მოკლე კითხვებზე პასუხის გაცემას თუ შეძლებს. მისი ჯანმრთელობის გაუარესება წელიწად-ნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში საპატიმროში ყოფნის შედეგია, სადაც მას სამედიცინო დახმარებას არ უწევდნენ.

პრესკონფერენციაზე, რომელიც იტალიელმა გამომცემელმა უცხოეთის პრესის ასოციაციის შენობაში მოაწყო, სკანდალური ინციდენტი მოხდა. დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ დარბაზის სიღრმეში გამოჩნდა ღია ყვითელ კაბაში გამოწყობილი ქალი. მას მაშინვე რამდენიმე ამერიკელი ჟურნალისტი გარს შემოერტყა. ერთ-ერთი ტელეკამერა, რომელიც მანამდე პრეზიდიუმისაკენ იყო მიშვერილი, 180 გრადუსით შემობრუნდა და მსხვილი პლანით უჩვენა „დაგვიანებული" ქალბატონი. იგი აღმოჩნდა საძრახისად ცნობილი კლერ სტერლინგი, იტალიაში მუდმივად მცხოვრები ამერიკელი ჟურნალისტი ქალი, აღვირახსნილი ანტისაბჭოურობითა და სოციალიზმის სამყაროსადმი სიძულვილით გაჟღენთილი წიგნების ავტორი. მაგრამ იმის ცდა, რომ დაერღვიათ პრესკონფერენციის ნორმალური მიმდინარეობა და გაეფანტათ ჟურნალისტთა ყურადღება, ჩაიშალა. წამყვანის მოთხოვნით, რომელსაც მხარი დაუჭირეს დამსწრეებმა, სტერლინგი იძულებული შეიქნა დარბაზი დაეტოვებინა.

„სტერლინგი თავის რეპერტუარს არ ღალატობს, —უთხრა ამასთან დაკავშირებით გამომცემელმა რ. ნაპოლეონემ ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტს. — ფულისა და რეკლამის გულისათვის იგი არაფერს თაკილობს, ყოველგვარ პროვოკაციაზე აწერს ხელს. მაგრამ ვერც სტერლინგი და ვერც ისინი, ვინც მას ამგვარი ბინძური საქმეებისათვის აქეზებს, ვერ მოატყუებენ საზოგადოებრივ აზრს, ვერ დასწამებენ ცილს უდანაშაულო ადამიანებს, ვერ გაუტეხენ სახელს სოციალისტურ ქვეყნებს. დარწმუნებული ვარ, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს და ჭეშმარიტება აღდგება ყოველგვარი დაბრკოლებებისა და პროვოკაციების მიუხედავად".

მოკლედ

● **ბოგოტა.** ორი მძლავრი ბომბი ერთდროულად აფეთქდა კოლუმბიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მშრომელთა სოციალური დახმარების ორგანიზაციის შენობებში. აფეთქებათა შედეგად არიან დაჭრილები. კომპარტიის ხელმძღვანელობის აზრით, ტერორისტული აქციები განახორციელა ადგილობრივმა რეაქციამ.

● **ხართუმი.** სუდანში მუშაობა დაიწყეს ამა წლის 6 აპრილს დამხობილი წინანდელი რეჟიმის ხელმძღვანელთა ანტიხალხური საქმიანობის გამომძიებელმა კომისიებმა. მთავარი ბრალდებულია ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ნიმეირი, რომელიც ამჟამად ეგვიპტეში იმყოფება.

ქალაქ პორტ-სუდანში გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს ყოფილი პრეზიდენტის და მისი რეჟიმის ყველა ხელმძღვანელის გასამართლება.

საზღვრის გუშაგთა პატივსაცემად

საქართველოს დედაქალაქმა საზეიმოდ აღნიშნა მეომართა დღესასწაული, რომლებიც საიმედოდ იცავენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს. მესაზღვრის დღეს, 28 მაისს ვ. ი. ლენინისა და ფ. ე. ძერჟინსკის ძეგლები გვირგვინებით შეამკეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სამხედრო საბჭოს, სარდლობისა და პოლიტგანყოფილების სახელით.

ამავე დღეს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში მოვიდნენ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მესაზღვრე მეომრები და სასაზღვრო ჯარების ვეტერანები. აქ გაიმართა საბჭოთა სასაზღვრო ჯარების 67 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრება გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ქ. ვ. კაპანაძემ.

ერთსულოვნად, დიდი აღმავლობით საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით.

სასაზღვრო ჯარების სახელოვანი ისტორიის, ამიერკავკასიის საზღვრის მეომართა დღევანდელი მხედრული სადაგი დღეების შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა გ. ა. ზგერსკიმ.

კრებას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. რ. საჯაია, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი გ. ა. კუცი.

(საქინფორმი).

გეოგრაფები—სახალხო მეურნეობას

საქართველოს გეოგრაფები აქტიურად მონაწილეობენ მეთერთმეტე ხუთწლედისათვის დასახული ბევრი საარსებო სოციალურ-ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტაში. გეოგრაფიული პროფილის სამეცნიერო დაწესებულებებმა განვლილი წლების მანძილზე განახორციელეს რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, მთიანი რეგიონების განვითარების დემოგრაფიული პროცესების სრულყოფის, საწარმოო ძალების განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტისადმი მიძღვნილი ბევრი ნამუშევარი. მაგალითად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში შესრულებულმა სამეცნიერო კვლევამ ხელი შეუწყო კურორტების გაგრისა და ბიჭვინთის, ბათუმის რაიონებში სანაპირო ზონის აღდგენისა და გადარეცხვისაგან დაცვის პრობლემაზე ეფექტიან საინჟინრო გადაწყვეტათა შემუშავებას.

ეს განაცხადა თბილისში გამართულ საქართველოს გეოგრაფთა საზოგადოების VIII ყრილობაზე მისმა პრეზიდენტმა — რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ჯაოშვილმა. მაგრამ, რესპუბლიკის გეოგრაფები არ სჯერდებიან მიღწეულ შედეგებს, ხაზგასმით აღნიშნა მეცნიერმა. ღრმად გააანალიზეს რა რესპუბლიკაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით, გეოგრაფებმა გამოავლინეს საქართველოს სახალხო მეურნეობათა საჭიროებებისათვის მისი ბუნებრივ-კლიმატური რესურსების უკეთ გამოყენების ბევრი შესაძლებლობა.

(საქინფორმი).

სპორტი

ფეხბურთის ამბები

რუმინეთის ქალაქ პლოეშტში გაიმართა 18 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. რუმინეთის ნაკრებმა მიიღო სსრ კავშირის კოლექტივი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 3:2. აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა სპორტსმენებმა პირველი ტაიმი მოიგეს (2:0), მაგრამ შესვენების შემდეგ დათმეს პოზიციები.

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის შვიდი კალენდარული მატჩი. საქართველოს კოლექტივებმა ამჯერად სტუმრად იასპარეზეს: თბილისის „დინამოს" უმასპინძლა მინსკის „დინამომ", ხოლო ქუთაისის „ტორპედოს" — „დნეპრმა". თბილისელები დამარცხდნენ ანგარიშით 0:3. მატჩი წააგეს ქუთაისელებმაც — 0:2.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ყაირათი"-„არარატი" — 2:0, მოსკოვის ტორპედო"-„ნეფთჩი" — 3:0, კიევის „დინამო"-„სპარტაკი" — 2:0, „მეტალისტი"-„ზენიტი" — 1:0, „შახტიორი"-„ფაკელი" — 0:1.

დღეისათვის გათამაშების ცხრილში გუნდები ასეთი თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" კ	8	2	1	22-6	18
„დნეპრი"	6	5	0	20-7	17
„დინამო" თბ	6	4	2	15-10	16
„სპარტაკი"	5	6	1	17-7	16
„ტორპედო" მ	6	3	3	15-8	15
„დინამო" მნ	5	5	1	14-7	15
„ყაირათი"	3	6	3	10-15	12
„ფაკელი"	4	3	6	9-15	11
„ტორპედო" ქთ	3	5	4	10-16	11
„მეტალისტი"	4	2	5	13-14	10
„ნეფთჩი"	4	2	6	11-15	10
„შახტიორი"	3	4	5	15-16	10
„ზენიტი"	4	1	6	14-13	9
„დინამო" მ	3	3	5	18-16	9
ასკ რ	3	3	6	12-17	9
„ჩერნომორეცი"	3	3	7	14-27	9
„არარატი"	2	4	6	12-18	8
„ჟალგირისი"	2	3	7	12-26	7

გთავაზობთ პირველი ლიგის ფეხბურთელთა კოლექტივების მეთორმეტე ტურის მატჩების შედეგებსაც: **დასავლეთის ზონა.** ლვოვის ასკ „კარპატი"-აბოვიანის „კოტაიკი" — 1:1, კიშინიოვის „ნისტრუ"-კრასნოდარის „კუბანი" — 2:0, ნიკოპოლის „კოლოსი"-ორჯონიკიძის „სპარტაკი" — 2:0, ზაპოროჟიეს „მეტალურგი"-სტავროპოლის „დინამო" — 1:0. ამ ზონაში 14-14 ქულით ლიდერობენ ასკ „კარპატი", „კოლოსი" და „დაუგავა". 11-11 ქულა აქვთ ბათუმის „დინამოს", სტავროპოლის „დინამოს", „ნისტრუს" და „მეტალურგს". „გურია" 7 ქულით მეთერთმეტე ადგილზეა; **აღმოსავლეთის ზონა.** კემეროვოს „კუზბასი"-იაროსლავლის „შინნიკი" — 0:1, ხაბაროვსკის ასკ-მოსკოვის „ლოკომოტივი" — 2:0, ცსკა-„როტორი" — 1:1, სმოლენსკის „ისკრა"-კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი" — 1:1. აქ 16 ქულით ერთპიროვნული ლიდერია „შინნიკი".

მეშვიდე, ტრადიციული...

დღეს თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყალოსნო კომპლექსის აუზში იწყება წყალბურთელთა რიგით მეშვიდე საერთაშორისო შეჯიბრება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე. გთავაზობთ დღევანდელი მატჩების განრიგს: 17.00. კუბა-შვეცია, 18.00. უნგრეთი-რუმინეთი, 19.00. ტურნირის საზეიმო გახსნა, 19.30. საქართველო-სსრ კავშირი.

ასამართლებენ ალკოჰოლიკს

რეპორტაჟი

საქარხნო რაიონის № 100 საბინაო-საექსპლოატაციო უბნის ამხანაგური სასამართლოს „სხდომათა დარბაზი" ხალხით იყო სავსე. იხილავდნენ ორი ალკოჰოლიკისა და მუქთახორის საქმეს.

...ყველაფერი ისე იყო, როგორც სასამართლოში: თავმჯდომარე და ორი მსაჯული. ესწრებოდა № 100 საბინაო-საექსპლოატაციო უბნის ვამგებლობაში შემავალი ყველა სახლის ბევრი მცხოვრები. ამხანაგურ სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა ადამიანის ღირსებადაკარგულ პირთა შემდგომი ბედი.

გაბოროტება, აღშფოთება, გაკვირვება: „რისთვის?", — ამ გრძნობებს შევნიშნავდით დ. გამიდოვს, რომელსაც სახეზე ცოტა ხნის წინანდელი ლოთობის კვალი აჩნდა.

— სადმე თუ მუშაობთ? — ასეთი იყო სასამართლოს თავმჯდომარის, პასპორტისტ-საქმეთა მწარმოებლის ს. ხახანაშვილის კითხვა.

— მღებავად ვმუშაობ რუსთაველის თეატრში.

— დიდი ხანია სვამთ?

— აბა რა ლოთი მე ვარ! განა ვინმეს ვუნახივარ ქუჩაში წაქცეული? ზომიერად ვსვამ, იმიტომ რომ მდგომარეობა მიმსუბუქდება. მე ხომ ტუბერკულოზით ვარ დაავადებული.

უბნის ინსპექტორის ზ. მარტიაშვილის ცნობა:

— გამიდოვი არსად არ მუშაობს. ყოველდღე ნახავთ საცხოვრებელ კორპუსებთან მოყიალეს თანამეინახეების ძებნაში, რომლებიც დასალევად შეუამხანაგდებოდნენ. ისი, ნამდვილად ავად არის. მაგრამ პოლიკლინიკაში არ მიდის სისტემატური ლოთობის გამო. ცოლის, რძლის, ვაჟის კმაყოფაზე ცხოვრობს.

— მე ხომ ქურდი, მკვლელი არა ვარ, ვის რას ვუშავებ?!

შინაურებისადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულება თუ არა, მაშ რა შეიძლება ეწოდოს სკანდალებსა და დებოშებს, რომლებსაც იგი ოჯახში ტეხს? ამხანაგურმა სასამართლომ საზოგადოებრივი გაკიცხვა გამოუტანა დ. გამიდოვს და დაავალა ერთი თვის განმავლობაში სამუშაოზე მოეწყოს, მიატოვოს სმა, თორემ სასამართლო მეორედ განიხილავს მის საქციელს და იძულებით გაგზავნის ალკოჰოლიზმის სამკურნალოდ.

დამსწრენი სასამართლოს გადაწყვეტილებას კმაყოფილებით შეხვდნენ.

— იუყურებ ადამიანის დაცემის სავალალო სურათს, — თქვა პენსიონერმა ა. შუტკოვამ. — და გული მტკივა. მაწუხებს ახალგაზრდობის ბედი. ვერსად გაუტარებია ჯანმრთელობისათვის სასარგებლოდ თავისუფალი დრო. ჩვენს მიკრორაიონში არ არის არც ბაღები, არც სპორტული მოედნები. სადარბაზო ერთადერთი ადგილია, სადაც ბავშვები იკრიბებიან. მოზრდილ ბიჭებს ბოთლსაც შევუნიშნავთ ხოლმე. უმცროსები ამას ხედავენ. უსაქმურობა, მოწყენილობა — აი ერთ-ერთი მიზეზი, ლოთობასა და მუქთახორობას რომ იწვევს. არ მინდა, რომ მრავალი წლის შემდეგ დღევანდელი მოზარდები ასეთი სახით წარუდგნენ საზოგადოებრიობას...

...ნ. ვესტფალს კრინტი არ დაუძრავს, გასასამართლებელ სიტყვებს ვერ პოულობდა, ანდა თავი როგორ უნდა ემართლებინა? დაკარგა ყველაფერი — ოჯახი, სახლი, სამუშაო. თუმცა 50 წლისაა, მაგრამ მხოლოდ თხუთმეტი წლის სამუშაო სტაჟი აქვს. აქედან სამი წელი სამკურნალო-შრომითს პროფილაქტორიუმში იძულებითს მკურნალობაზე მოდის.

— ჩემი სპეციალობით ვეღარ ვმუშაობ, ალკოჰოლიკი გავხდი, — აღიარა მან და თან ცდილობდა აკანკალებული ხელები ზურგს უკან დაემალა.

— სმა როდის დაიწყეთ?

ოცი წლის წინათ. „განზე" სამუშაოსათვის ფულს არ ვიღებდი, სამაგიეროდ სასმელით მიხდიდნენ. ასე შევეჩვიე კიდეც მას...

და ვერც შენიშნა, როგორ გადააბიჯა სამიშ ზღვარს. მას შეგნებული აქვს, რომ დაკარგა ყველაფერი, მაგრამ რაც მთავარია, ნებისყოფა. წყალწაღებული ხავსს რომ ეჭიდება, ისე ვესტფალმაც იმედით მიიღო სასამართლოს გადაწყვეტილება — გაიგზავნოს იძულებითი მკურნალობისათვის.

— გამოჯანმრთელდით და სამუშაოდ მიგიღებთ საბინაო-საექსპლოატაციო უბანში, — დაიმედა იგი უბნის უფროსმა მ. წითელაურმა.

— ჩვენ და მილიციის უბნის ინსპექტორი, — თქვა ამხანაგური სასამართლოს სხდომის შემდეგ ს. ხახანაშვილმა, — ერთობლივად ვმუშაობთ. ვარჩევთ წვრილმანი სპეკულაციის, ხულიგნობის, საყოფაცხოვრებო კონფლიქტების შედეგებს. ახლა ძირითად ყურადღებას ვუთმობთ ალკოჰოლიკებთან ბრძოლას. მაგრამ, ვფიქრობ, საჭიროა უფრო მკაცრად მოვკითხოთ იმათ, ვინც ადამიანებს უფსკრულისაკენ უბიძგებს, წყალსადენის შესაკეთებლად მოსულ ოსტატს 100-120 გრამი არყით უმასპინძლდება.

ლ. ტრუდკოვა,
საქინფორმის კორ.

ა. დ. გორგიძე

ქართულმა ბიოლოგიის მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი სამეცნიერო მუშაობის დარგში, ბოტანიკის კათედრის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 1954 წლიდან სკკპ წევრი ალექსანდრა დავითის ასული **გორგიძე**.

ა. დ. გორგიძე დაიბადა 1928 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ მანდიკორში. მან 1945 წელს ორბირის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1950 წელს. 1951-1954 წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ასპირანტია. 1955 წელს მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1973 წელს — მეცნიერებათა დოქტორისა. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის კულტურული ფლორის განყოფილების ლაბორანტად, განყოფილების გამგედ, სილიფლის უკანასკნელ დღემდე კი იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრის გამგე და ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში. სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის ა. გორგიძემ თარგმნა და მომზადა ზოგადი ბოტანიკის სახელმძღვანელო და ზოგადი ბიოლოგიის კურსის პრაქტიკუმი.

ა. გორგიძე თავის პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. არჩეული იყო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის წევრად. იყო საქართველოს სსრ გენეტიკოსთა და სელექციონერთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკისა და სელექციის საპრობლემო-საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ა. გორგიძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა არაერთგზის აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით.

კომუნისტი მეცნიერის ა. გორგიძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრებისა და აღზრდილების.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ნახეთ, ხომ არ მოგიგიათ?

ოფიციალური ცხრილი

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1985 წლის მეოთხე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1985 წლის 25 მაისს ქ. ხობში. ტირაჟში გათამაშდა 860.000 მანეთის 199 ნივთმოგება და 199.801 ფულადი მოგება. მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
12002	094*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12021	285*)	20 მანეთი	—
12023	176*)	20 მანეთი	—
12028	471*)	20 მანეთი	—
12036	059*)	5 მანეთი	—
12040	487*)	5 მანეთი	—
12045	394*)	20 მანეთი	—
12061	428*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
12062	297*)	20 მანეთი	—
12063	014*)	20 მანეთი	—
12065	294*)	5 მანეთი	—
12076	265*)	5 მანეთი	—
12086	142*)	20 მანეთი	—
12087	485*)	40 მანეთი	—
12105	044*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
12129	158*)	20 მანეთი	—
12149	274*)	40 მანეთი	—
12153	156*)	50 მანეთი	—
12179	259*)	20 მანეთი	—
12184	059*)	5 მანეთი	—
12188	440*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12198	376*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12201	429*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12210	102*)	5 მანეთი	—
12212	282*)	ავტომანქანა „ჟიგული"-2107	9800—00
12223	271*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12228	479*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12270	481*)	მტვერსასრუტი	37—00
12297	122*)	20 მანეთი	—
12313	288*)	მტვერსასრუტი	37—00
12334	270*)	20 მანეთი	—
12348	380*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
12360	378*)	20 მანეთი	—
12365	349*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12378	018*)	მაგნიტოფონი „იუპიტერი"	620—00
12383	295*)	20 მანეთი	—
12387	063*)	5 მანეთი	—
12395	006*)	20 მანეთი	—
12406	167*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
12417	368*)	ელექტრომიქსერი	24—00
12421	320*)	20 მანეთი	—
12426	116*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12435	400*)	20 მანეთი	—
12438	389*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12453	415*)	5 მანეთი	—
12458	204*)	5 მანეთი	—
12460	229*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12462	181*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
12480	300*)	ელექტრომიქსერი	24—00
12502	288*)	5 მანეთი	—
12524	214*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
12530	042*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
12532	210*)	20 მანეთი	—
12546	288*)	20 მანეთი	—
12552	270*)	20 მანეთი	—
12560	091*)	5 მანეთი	—
12582	177*)	40 მანეთი	—
12585	470*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12592	321*)	20 მანეთი	—
12605	022*)	20 მანეთი	—
12611	369*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12620	112*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12652	306*)	40 მანეთი	—
12669	079*)	20 მანეთი	—
12692	452*)	20 მანეთი	—
12696	070*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
12697	303*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
12700	334*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
12702	384*)	5 მანეთი	—
12706	412*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	2125—00
12709	107*)	40 მანეთი	—
12721	168*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
12731	017*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
12748	421*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12750	264*)	მტვერსასრუტი	37—00
12754	485*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12764	168*)	ავტომანქანა „ჟიგული"-2105	8200—00
12795	261*)	20 მანეთი	—
12799	317*)	20 მანეთი	—
12802	459*)	5 მანეთი	—
12804	497*)	20 მანეთი	—
12811	291*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
12820	104*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
12828	250*)	20 მანეთი	—
12830	068*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12842	357*)	მტვერსასრუტი	37—00
12861	171*)	20 მანეთი	—
12880	338*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12888	128*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
12896	068*)	20 მანეთი	—
12912	131*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
12918	299*)	20 მანეთი	—
12937	184*)	20 მანეთი	—
12939	478*)	ფოტოაპარატი „ზენიტი" ტტლ	180—00
12949	441*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
12951	494*)	5 მანეთი	—
12959	347*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
12965	408*)	20 მანეთი	—
12974	170*)	20 მანეთი	—
12976	014*)	20 მანეთი	—
12989	436*)	5 მანეთი	—
12992	269*)	40 მანეთი	—
13001	084*)	მაგნიტოფონი „იუპიტერი"	620—00
13005	258*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
13006	414*)	ასი მანეთი	—
13019	267*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13022	174*)	5 მანეთი	—
13036	004*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
13049	377*)	20 მანეთი	—
13057	378*)	მტვერსასრუტი	37—00
13073	136*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13082	328*)	5 მანეთი	—
13083	201*)	მტვერსასრუტი	37—00
13100	299*)	20 მანეთი	—
13112	087*)	20 მანეთი	—
13141	387*)	20 მანეთი	—
13200	021*)	20 მანეთი	—
13202	481*)	50 მანეთი	—
13215	110*)	ელექტრომიქსერი	24—00
13232	185*)	მტვერსასრუტი	37—00
13238	086*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
13240	045*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
13251	388*)	20 მანეთი	—
13261	491*)	5 მანეთი	—
13263	154*)	ელექტრომიქსერი	24—00
13265	1-500	15 მანეთი	—
13275	453*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13278	206*)	20 მანეთი	—
13292	410*)	20 მანეთი	—
13306	122*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13326	355*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
13334	088*)	40 მანეთი	—
13337	059*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13351	412*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
13359	095*)	5 მანეთი	—
13361	364*)	20 მანეთი	—
13364	315*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13374	265*)	5 მანეთი	—
13383	145*)	20 მანეთი	—
13385	381*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
13386	288*)	ელექტრომიქსერი	24—00
13388	298*)	20 მანეთი	—
13391	084*)	20 მანეთი	—
13400	410*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
13431	358*)	5 მანეთი	—
13442	386*)	5 მანეთი	—
13445	215*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
13447	382*)	20 მანეთი	—
13455	378*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
13479	148*)	ავტომანქანა „ჟიგული"-21063	9100—00
13484	199*)	20 მანეთი	—
13489	241*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13494	122*)	40 მანეთი	—
13497	012*)	40 მანეთი	—
13499	267*)	ფოტოაპარატი „ზენიტი" ტტლ	180—00
13512	385*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
13518	133*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
13525	018*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13530	175*)	5 მანეთი	—
13537	163*)	20 მანეთი	—
13554	498*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13576	332*)	5 მანეთი	—
13579	040*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
13581	389*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
13591	452*)	5 მანეთი	—
13601	061*)	20 მანეთი	—
13602	227*)	5 მანეთი	—
13614	149*)	20 მანეთი	—
13638	269*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13652	018*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13659	284*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13669	219*)	საკერავი მანქანა „პოდოლსკი"	231—00
13691	484*)	5 მანეთი	—
13716	339*)	მტვერსასრუტი	37—00
13730	251*)	40 მანეთი	—
13732	1-500	15 მანეთი	—
13741	192*)	50 მანეთი	—
13748	163*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13753	369*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13756	446*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
13768	366*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
13774	392*)	ფოტოაპარატი „ზენიტი" ტტლ	180—00
13777	170*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13798	009*)	ავტომანქანა „ვოლგა" გაზ-24	15000—00
13805	165*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13809	312*)	5 მანეთი	—
13813	329*)	20 მანეთი	—
13816	396*)	მტვერსასრუტი	37—00
13817	385*)	50 მანეთი	—
13824	318*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
13825	401*)	50 მანეთი	—
13838	014*)	20 მანეთი	—
13844	159*)	20 მანეთი	—
13849	197*)	მტვერსასრუტი	37—00
13852	408*)	40 მანეთი	—
13887	177*)	ავტომანქანა „ჟიგული"-21013	7300—00
13893	384*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
13911	166*)	20 მანეთი	—
13913	148*)	20 მანეთი	—
13933	365*)	20 მანეთი	—
13938	097*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13939	141*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13951	248*)	20 მანეთი	—
13969	466*)	20 მანეთი	—
13980	341*)	20 მანეთი	—
13985	004*)	ავტომანქანა „ჟიგული"-21063	9100—00
13986	400*)	50 მანეთი	—
13987	242*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
13993	244*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
13998	206*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
14007	164*)	20 მანეთი	—
14025	047*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14040	305*)	20 მანეთი	—
14054	480*)	20 მანეთი	—
14056	289*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
14062	043*)	მტვერსასრუტი	37—00
14077	373*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14093	140*)	40 მანეთი	—
14094	403*)	5 მანეთი	—
14097	476*)	5 მანეთი	—
14098	328*)	5 მანეთი	—
14115	165*)	მტვერსასრუტი	37—00
14130	118*)	საკერავი მანქანა „პოდოლსკი"	231—00
14131	331*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
14154	456*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14155	215*)	მტვერსასრუტი	37—00
14160	337*)	20 მანეთი	—
14161	165*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
14166	175*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
14178	164*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14181	299*)	ფოტოაპარატი „ზენიტი" ტტლ	180—00
14230	002*)	5 მანეთი	—
14243	439*)	20 მანეთი	—
14253	460*)	20 მანეთი	—
14254	479*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14259	252*)	5 მანეთი	—
14261	440*)	5 მანეთი	—
14293	357*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14294	409*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
14298	151*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14299	1-500	10 მანეთი	—
14304	085*)	20 მანეთი	—
14315	468*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14323	108*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14326	288*)	20 მანეთი	—
14329	242*)	ავტომანქანა „ჟიგული"-2107	9800—00
14394	204*)	5 მანეთი	—
14401	465*)	მტვერსასრუტი	37—00
14406	340*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14412	065*)	20 მანეთი	—
14418	187*)	20 მანეთი	—
14447	348*)	ელექტრომიქსერი	24—00
14452	067*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14456	193*)	20 მანეთი	—
14479	214*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14486	224*)	ელექტრომიქსერი	24—00
14502	421*)	20 მანეთი	—
14505	100*)	40 მანეთი	—
14522	132*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
14523	043*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
14533	117*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
14534	363*)	5 მანეთი	—
14555	097*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
14560	163*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14569	206*)	20 მანეთი	—
14577	490*)	20 მანეთი	—
14603	212*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14609	230*)	20 მანეთი	—
14632	367*)	20 მანეთი	—
14635	302*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14655	268*)	20 მანეთი	—
14659	398*)	20 მანეთი	—
14669	354*)	5 მანეთი	—
14673	286*)	5 მანეთი	—
14680	178*)	5 მანეთი	—
14681	204*)	20 მანეთი	—
14684	155*)	20 მანეთი	—
14698	012*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14715	193*)	5 მანეთი	—
14728	262*)	საკერავი მანქანა „პოდოლსკი"	231—00
14730	089*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14743	457*)	20 მანეთი	—
14744	251*)	20 მანეთი	—
14745	449*)	40 მანეთი	—
14746	442*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14748	232*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
14764	216*)	20 მანეთი	—
14781	451*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14806	026*)	საკერავი მანქანა „პოდოლსკი"	231—00
14810	419*)	5 მანეთი	—
14815	489*)	40 მანეთი	—
14817	139*)	20 მანეთი	—
14820	257*)	ავტომანქანა „ჟიგული"-21063	9100—00
14823	438*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	2125—00
14844	120*)	მტვერსასრუტი	37—00
14845	008*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14848	230*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14860	135*)	20 მანეთი	—
14867	142*)	20 მანეთი	—
14869	330*)	20 მანეთი	—
14870	139*)	5 მანეთი	—
14884	274*)	20 მანეთი	—
14893	191*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14894	104*)	საკერავი მანქანა „პოდოლსკი"	231—00
14905	407*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14915	242*)	40 მანეთი	—
14924	416*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
14936	303*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14950	360*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
14955	298*)	20 მანეთი	—
15001	313*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15002	139*)	5 მანეთი	—
15006	481*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15029	072*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15041	1-500	10 მანეთი	—
15047	463*)	ელექტრომიქსერი	24—00
15050	177*)	5 მანეთი	—
15055	494*)	5 მანეთი	—
15061	192*)	20 მანეთი	—
15073	278*)	ავტომანქანა „ჟიგული"-2107	9800—00
15078	066*)	5 მანეთი	—
15079	167*)	50 მანეთი	—
15080	402*)	5 მანეთი	—
15088	262*)	20 მანეთი	—
15107	010*)	5 მანეთი	—
15111	220*)	ელექტრომიქსერი	24—00
15116	063*)	5 მანეთი	—
15117	147*)	20 მანეთი	—
15121	086*)	ელექტრომიქსერი	24—00
15125	333*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
15129	480*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15160	270*)	მტვერსასრუტი	37—00
15166	205*)	ავტომანქანა „ჟიგული"-21013	7300—00
15173	379*)	5 მანეთი	—
15179	355*)	ავტომანქანა „ჟიგული"-2105	8200—00
15181	284*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
15182	255*)	20 მანეთი	—
15200	274*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
15221	206*)	5 მანეთი	—
15243	423*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15245	345*)	5 მანეთი	—
15259	316*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
15267	033*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15272	146*)	მტვერსასრუტი	37—00
15275	332*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
15280	484*)	5 მანეთი	—
15289	500*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
15291	470*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15305	167*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15308	065*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
15320	472*)	40 მანეთი	—
15337	411*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
15398	261*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
15420	333*)	მაგნიტოფონი „იუპიტერი"	620—00
15441	436*)	20 მანეთი	—
15449	215*)	20 მანეთი	—
15459	430*)	მტვერსასრუტი	37—00
15461	268*)	5 მანეთი	—
15495	097*)	20 მანეთი	—
15500	377*)	მტვერსასრუტი	37—00
15514	232*)	5 მანეთი	—
15521	140*)	20 მანეთი	—
15524	263*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
15541	130*)	40 მანეთი	—
15543	491*)	5 მანეთი	—
15566	061*)	20 მანეთი	—
15582	108*)	40 მანეთი	—
15593	016*)	ფოტოაპარატი „ზენიტი" ტტლ	180—00
15597	417*)	50 მანეთი	—
15609	274*)	50 მანეთი	—
15640	193*)	5 მანეთი	—
15667	123*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15688	282*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15702	484*)	20 მანეთი	—
15704	487*)	მაცივარი „მინსკი"	430—00
15746	311*)	20 მანეთი	—
15764	391*)	5 მანეთი	—
15771	478*)	საკერავი მანქანა „პოდოლსკი"	231—00
15774	199*)	50 მანეთი	—
15776	272*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15800	445*)	20 მანეთი	—
15801	338*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15805	265*)	20 მანეთი	—
15831	314*)	20 მანეთი	—
15833	161*)	მტვერსასრუტი	37—00
15850	496*)	ელექტროყავასაფქვავი	14—00
15861	461*)	5 მანეთი	—
15877	393*)	20 მანეთი	—
15879	139*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15884	290*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15885	128*)	მაგნიტოფონი „იუპიტერი"	620—00
15896	358*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15899	073*)	ავტომანქანა „ჟიგული"-21063	9100—00
15910	124*)	40 მანეთი	—
15936	042*)	20 მანეთი	—
15955	251*)	5 მანეთი	—
15957	043*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15959	238*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
15977	305*)	ასი ლატარიის ბილეთი	30—00
16000	135*)	20 მანეთი	—

* **შენიშვნა:** ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თითოეულს.

მოგებაზე — „100 ლატარიის ბილეთი" გაიცემა მხოლოდ საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვით ნივთმოგებანი და ფულადი მოგებანი გაიცემა გაზეთის მორიგი ნომრის ადგილზე მიღების შემდეგ.

მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთმოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთის ფულადი მოგება, მფლობელთა სურვილით, მოგებული ნივთის ნაცვლად 100 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულება შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს ნებისმიერ შემნახველ სალაროში. 100 მანეთზე მეტ მოგებას გასცემენ ცენტრალური და პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებაზვედრილი ლატარიის ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს მხოლოდ ქ. თბილისში.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება ცენტრალურ შემნახველ სალაროებს ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებს, ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელსა და თავისი ბინის ზუსტ მისამართს.

3. მოგებულ ნივთებს მაღაზიები გასცემენ მას შემდეგ, როცა მოგებაზვედრილი ლატარიის ბილეთი შემოწმდება შემნახველ სალაროში.

4. თუ ლატარიაში გათამაშებულ ცალკეულ საქონელს წარმოება აღარ უშვებს, საქონლის ღირებულება მოგებაზვედრილი ლატარიის ბილეთის მფლობელს ნაღდ ფულად მიეცემა.

5. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეგიძლიათ წარადგინოთ გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1986 წლის 30 ივნისამდე (ჩათვლით). ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთი ძალას კარგავს და გასანაღდებლად აღარ მიიღება.

შენიშვნა: სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ჩატარებული ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შეამოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება ან ფული მოგებული ნივთის ნაცვლად ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის, აგრეთვე ქალაქების სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, გორის, რუსთავის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, წყალტუბოსა და გაგრის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება აგრეთვე ქ. თბილისის ყველა ცენტრალურ შემნახველ სალაროში და სხვა დიდი ქალაქების ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

კომისიის თავმჯდომარე — ხობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. ლ. ბუჭია.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო სარევიზიო სამმართველოს უფროსი კონტროლიორ-რევიზორი ქ. ვ. ჯანელიძე.

პასუხისმგებელი მდივანი — სსრკ სახშრომშემსალაროების საქართველოს რესპუბლიკური მთავარი სამმართველოს უფროსი ექსპერტი დ. ნ. ჯულუხიძე.

ჩვენს ტელეეკრანზე

მოსკოვი

29 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — ცხოველთა სამყაროში. 10.35 — მხატვრული ფილმი „ისიკ-ყულის წითელი ყაყაჩოები". 12.10 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — სოფლის ჰორიზონტები. 16.25 — რას და როგორ ასწავლიან პროფტექნიკურ სასწავლებლებში. 16.55 — ახალი ამბები. 17.00 — ბამი გრძელდება. 17.25 — ტრადიციული ვიეტნამური თოჯინების თეატრი. 18.00 — „... თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 18.45 — „კაცებო, კაცებო...". სმოლენსკის ოლქის კოჩინკოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „ზარიას" ფხიზელთა საზოგადოების შესახებ. 19.15 — ჩვენი ბაღი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 20.30 — მხატვრული ფილმი „დივიზიის მეთაურის დღე". 22.00 — „ვრემია". 22.35 — მ. ა. შოლოხოვის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. 00.05 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.05 და 14.10 — გერმანული ენა. 12.05 — მეცნიერება და ცხოვრება. 13.40 — ოჯახი და სკოლა. 14.40 — მუსიკის გაკვეთილი მასწავლებელს. 15.20 — ი. ილფი და ე. პეტროვი. ნაწარმოებთა კვალდაკვალ. 16.15 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — თანამეგობრობა. 19.40 — მღერის კამერული გუნდი. 19.55 — გესაუბრებით მხატვრებზე. ე. კალნინში. 20.30 — ევროპის ჩემპიონატი კრივში. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ადამიანი. დედამიწა. სამყარო. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „კოლომბა". I სერია. 23.30 — ახალი ამბები.

თბილისი

29 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — „მოამბე". 10.05 — მხატვრული ფილმი „მინდვრის ყვავილები". 11.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბაპამის კუნძულები". 11.40 — მუსიკალური კალენდრის ფურცლებზე. 12.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გზა". 13.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვოლგის ავტოქარხანა. ქარხანა და ადამიანები". 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — სატელევიზიო დადგმა „დორიან გრეის პორტრეტი". პირველი ნაწილი. 15.10 — „ექსპერიმენტი — გამოცდილება". — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიწის ერთი პატრონი". 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა (სტუდიაში ნ. ცინცაძე). 16.45 — თბილისის კინოთეატრების რეპერტუარი. 16.55 — მულტიპლიკაციური ფილმი „ფისუნია ქენია". 17.10 — მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება — ესტონელი მომღერალი ივო ლინა. 17.45 — „პოეზია" — ნოდარ ადეიშვილი. 18.05 — უფროსკლასელთათვის „თვალსაწიერი" — სატელევიზიო ჟურნალი. 18.45 — „კოლექტივი და დისციპლინა" — „ორი საწარმო, ორი შედეგი". 19.30 — „ცეროდენას ეკრანი". 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — სახალხო დღესასწაული — „ბათუმი" — ძმობისა და მეგობრობის ქალაქი". 20.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „რაჭა". 21.00 — „კინოს სამყაროში". 22.00 — „ვრემია". 22.35 — მიხეილ შოლოხოვის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. 00.05 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: დნეპროპეტროვსკის „დნეპრი"-ქუთაისის „ტორპედო" — 28 მაისის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დადგმა „დაუმთავრებელი სიმფონია". 18.10 — მოსწავლეთათვის — ქართული ლიტერატურა.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06191 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11